№95 2016 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

2015 წლის 31 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ უზრუნველყონ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის განთავსების არეალში მოქცეული სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება.

2. სს „საპარტნიორო ფონდმა“ პროექტის განმახორციელებელ კომპანიასთან სს „ნენსკრა ჰიდროსთან“ ერთად უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვების, მასთან დაკავშირებული ღონისძიებების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უფლებრივი რეგისტრაციისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება, ასევე ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული კერძო მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით მომზადებული საექსპერტო-აუდიტორული დასკვნის საქართველოს მთავრობისათვის წარმოდგენა. ამასთან, აღნიშნული დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის დაფინანსებაში მონაწილე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებით დადგენილ

სტანდარტებს. საჭიროების შემთხვევაში, სს „საპარტნიორო ფონდმა“ უზრუნველყოს აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა.

3. 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების 8.2. პუნქტის „b(i)“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სს „საპარტნიორო ფონდმა“ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად იდენტიფიცირებული კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (მასზე არსებული შენობა-ნაგებობების) შესყიდვა, სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი ანაზღაურების პირობით.

4. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამ განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად შესყიდული მიწის ნაკვეთების (მასზე არსებული შენობა-ნაგებობების) სს „ნენსკრა ჰიდროსთვის“ დროებითი სარგებლობის ვადით გადაცემისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**